# «თავისუფალი სამყარო» შელამაზების გარეშე

„თავისუფლების სამყარო"— ასე ამაყად უწოდებენ კაპიტალიზმის სამყაროს ბურჟუაზიული იდეოლოგები და პროპაგანდისტები. დღეს ისინი ბევრს წერენ და გაჰყვირიან „სახალხო კაპიტალიზმზე", „ეკონომიკის აყვავებაზე", „საერთო კეთილდღეობის საზოგადოებაზე".





მართლაც რომ საზღვარი არა აქვს ამ ადამიანთა ფარისევლობას! ეს ფოტოგამოფენა მოგითხრობს იმის შესახებ, თუ როგორია სინამდვილეში ეს ყბადაღებული „თავისუფლების სამყარო", როგორ ცხოვრობენ დღეს მილიონობით უუფლებონი და უქონელნი ჩვენს პლანეტაზე.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიციელები ...საარჩევნო უბანში



— მიჩვენე ჯიბეები, ხელები გასწიე განზე, ახლა შეგიძლია განაგრძო გზა!

პოლიციელები ჩხრეკენ, მაგრამ ეს ხდება არა სატუსაღოში, არა პოლიციაში, არამედ ...საარჩევნო უბანში. ამ დღეს კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში მიმდინარეობდა წარმომადგენელთა ფედერალური პალატის დეპუტატთა არჩევნები. ამ „არჩევნებს“ ხელისუფალნი, რა თქმა უნდა, უწოდებენ „თავისუფალს“ და „დემოკრატიულს“. აქ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ყველა პოლიციელს იარაღი მზად ჰქონდა „ყოველგვარი საჭიროებისათვის“.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სადღაა „საყოველთაო კეთილდღეობა"?

ეს სურათი იმავე „საყოველთაო კეთილდღეობის" ქვეყნიდანაა. გაზეთ „დეილი მირორის" ფოტოკორესპონდენტმა აღბეჭდა ლივერპულის მიწურები.



პირველ სურათზე, რომელიც გამოქვეყნდა ინგლისურ გაზეთ „ბირმინგამ პოსტში", ვხედავთ მეშახტე ფრენკ რობერტსს. დღეს მას მძიმე დღე გაუთენდა—იგი უკანასკნელად მიდის სამუშაოზე, რადგანაც ხვალიდან მისი შახტი იხურება. ასეთ ტრაგედიას ფრენკ რობერტსი მისი შრომითი ცხოვრების 43 წლის მანძილზე პირველად როდი განიცდის. შახტა, რომელშიც იგი ადრე მუშაობდა, ასევე დაიხურა და ასობით მისი ამხანაგი დარჩა უმუშევრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სიღატაკის ველი"





არის ასეთი ველი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ყოველ შემთხვევაში, ასე უწოდა თავის ფოტონარკვევს აპალაჩის მეშახტეთა ცხოვრებაზე ჟურნალ „ლაიფის" კორესპონდენტმა ჯონ დომინისმა. მაშინ, როცა აშშ მონოპოლიები ადიდებენ თავიანთ ზღაპრულ მოგებას, მილიონობით ამერიკელი სიღატაკეში ცხოვრობს. აი შახტა, რომელიც 1945 წელს დაიხურა. ათასობით მეშახტე გამოყარეს მაშინ გარეთ და ბევრ მათგანს დღემდე ვერ უპოვნია სამუშაო, მათხოვრადაა გადაქცეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხოვრება თავლაში

ამერიკის ბურჟუაზიული პროპაგანდა, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრს წერს და ამტკიცებს თავისი ქვეყნის „აყვავებაზე". მაგრამ ჯიუტი ფაქტები სულ სხვა მდგომარეობას ლალადებენ. სურათზე, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ნიუს ოფ უორლდში" ალბეჭდილია შოფერ ალბერტ ალენის ოჯახი. ეს ადამიანები სახლის მეპატრონემ გარეთ გამოყარა ბინის ქირის გადაუხდელობის გამო. ახლა მშობლები თავისი ბავშვებით თავლაში ცხოვრობენ.





კიდევ ერთი სურათი „აყვავებული" ინგლისიდან. უმუშევარი დოკერები იძულებული არიან სამუშაო კვირაობითაც ეძებონ.

# ცარიელი ყუთები ბირჟის მოედანზე




ბურჟუაზიული პრესა, როგორც წესი, არაფერს არა წერს კაპიტალის ქვეყნებში საგაფიცვო მოძრაობის გაქანებაზე. (ეს ხომ შეუფერებელია „აყვავებული", „სახალხო კაპიტალიზმის" ქვეყნების პრესტიჟთან!) სინამდვილეში, მარტო მარტის მეორე ნახევარში 6 მილიონზე მეტმა ფრანგმა მშრომელმა მიიღო მონაწილეობა გაფიცვებში. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ცარიელ ყუთებს, რომლებიც ზედ პარიზის შრომის ბირჟის წინ ყრია. ვერაფერს ვერ იზამ, დღეს მეეზოვეები არიან გაფიცულნი!



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თავისუფალი ალებ-მიცემის" მსხვერპლი



რამდენიმე წლის წინათ მთელი მსოფლიოს გაზეთები შემოიარა ცნობამ „თალიმოდომიდური" ბავშვების შესახაბ. მათი დედები ორსულობის დროს ღებულობდნენ „დამამშვიდებელ" წამალს. გამოირკვა, რომ ეს წამალი დამღუპველად მოქმედებდა მომავალ თაობაზე. დასავლეთ ევროპაში დაიბადა ბევრი მახინჯი ბავშვი. სამი წლის შვედმა გოგონამ ენმა ჯერ კიდევ არ იცის თავისი უბედურების შესახებ, არ იცის რომ მისი ტრაგედიის მიზეზია ფარმაცევტული ფირმის მისწრაფება მოგებისადმი.

# ამერიკელები, რომლებიც გაჭირვებაში ცხოვრობენ




ბევრი ამერიკული გაზეთი იძულებულია თვალი გაახილოს და დაინახოს სინამდვილე. ახლა ისინი ბევრს ბეჭდავენ მასალებს თანამემამულეებზე, რომლებიც გაჭირვებაში ცხოვრობენ მეტი რა გამოსავალი აქვთ, როცა თვით პრეზიდენტმა აღიარა, რომ მილიონობით ამერიკელი მოკლე-ბულია ელემენტარულ საარსებო პირობებს! ამ სურათზე, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმს მეგეზინში“, აღბეჭდილია უმუშევართა რიგი ნიუ-იორკში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაციის ერთი მეხუთედი

ამ სურათს ასეთი წარწერა აქვს: „ნაციის ერთი მეხუთედი, მოხეტიალე მუშის ოჯახი“.






მოხეტიალე მუშები ლობიოს აგროვებენ არკანზასის შტატში.

ამერიკის გაზეთები და ჟურნალები ასახელებენ იმ ამერიკელების სხვადასხვა ციფრს, რომლებიც გაჭირვებაში ცხოვრობენ. მაგრამ ყველაზე უფრო ახლოსაა სინამდვილესთან 40 მილიონი. მოხეტიალე მუშები, ახალგაზრდები, რომლებმაც ვერ მიიღეს განათლება, დაბალი კვალიფიკაციის მუშები, გაჩანაგებული ფერმერები, ზანგები, რომელთაც არ შეუძლიათ მიიღონ სამუშაო კანის ფერის გამო,—აი, ვინ შეადგენს ამერიკაში გაჭირვებულთა მრავალმილიონიან არმიას.



საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ „ფაიფურის პრეზიდენტი"!




ესპანეთის ქალაქ ბარსელონას ქუჩებში. ახალგაზრდა მხატვრები–ჩქაროსნული ფერწერის კონკურსის მონაწილენი ბრიან. გამარჯვებული ლუკმაპურს იშოვის.

დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი ფირმა მყიდველებს სთავაზობს ორიგინალურ „სუვენირს"—სამარილე „კენედის". ამ ფიგურას ზურგში აქვს სამი ნახვრეტი. მართალია, ამერიკის პრეზიდენტი ორმა ტყვიამ განგმირა, მაგრამ სამი ნახვრეტი საჭიროა იმისათვის, რომ მარილი თანაბრად გადმოცვივდეს. რეკლამა აცნობს მყიდველთ, რომ „97 ცენტი ღირს ფაიფურის პრეზიდენტი—სამარილე „კენედი". მილიონობით ამერიკელს და პატიოსან ადამიანს მთელ მსოფლიოში გული ატკინა ამერიკის პრეზიდენტის მუხანათურმა მკვლელობამ, ბიზნესმენებისათვის კი ეს ტრაგედია კიდევ ერთი ხელსაყრელი საბაბი გახდა უსირცხვილო, ბილწი რეკლამისათვის.



# დების ფინინიგენების ბედი



ქამელ-ქემპსტიდი შედარებით ახალგაზრდა ქალაქია ინგლისში. მაგრამ აქ უკეთესი პირობები როდია მშრომელთათვის, ვიდრე ძველისძველ ქალაქებში. აი ამ მიწურში შეკუჭნული არიან დები ფინინიგენები. მარსელა 85 წლისაა, ელა კი 78 წლისა. „შენობაში" არაა არც სინათლე, არც გათბობა, არც წყალი. რაღაზე შეიძლება იქონიოს იმედი ამ ორმა საცოდავმა ადამიანმა, თუკი აქ ცხოვრობენ უკვე 30 წელიწადი?!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაცები ქალაქს წავიდნენ



ერთ მილიონზე მეტი იაპონელი გლეხი ტოვებს ყოველწლიურად სოფელს და ლუკმა-პურის საშოვრად მიდის ქალაქად. მათ არ ძალუძთ თავისი ოჯახის გამოკვება დამატებითი სამუშაოს გარეშე. სურათზე თქვენ ხედავთ იაპონელ გლეხის ქალებს. მათი ქმრები სამუშაოდ ქალაქს წავიდნენ და მხოლოდ გაზაფხულზე დაბრუნდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ იტანჯებიან ბავშვები?



ჩვეულებრივი ბიჭუნა ამერიკელ მეშახტეთა ქალაქიდან. იგი ცუდადაა ჩაცმული, ეტყობა, რომ ცუდად იკვებება. ნორვეგიული ჟურნალის „აქტუელის“ კორესპონდენტს ამ ბიჭუნას მამამ სიმწარით ჰკითხა:

—რატომ უნდა იტანჯებოდნენ ბავშვები?



და თუკი იტანჯებიან ბავშვები მსოფლიოს ესოდენ განვითარებულ და მდიდარ ქვეყანაში, მაშინ რაღა მდგომარეობაში იქნებიან ბავშვები აზიისა და აფრიკის ქვეყნებში? ტრაქომა, კეთრი და სხვა საშინელი სნეულებანი ამახინჯებენ მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიწურების კონტინენტი



ამერიკელები ბევრს წერენ იმ „ჰუმანური", „დიდსულოვანი" და „უხვი" დახმარების შესახებ, რომელსაც ვითომდა უწევენ ლათინური ამერიკის და-კაბალებულ ქვეყნებს. მაგრამ ფაქტები ლაპარაკობენ თუ როგორია ეს „უან-გარო" დახმარება, რა სიკეთე მოაქვს ამერიკელთა მიერ წამოწყებულ „კავ-შირს პროგრესის გულისათვის". ლათინური ამერიკა დღეს—ესაა მიწურების, შიმშილისა და სილატაკის კონტინენტი.

სურათზე: კოსტა-რიკის დედაქალაქის—სან-ხოსეს მიწურები.

# ისევე, როგორც ასი წლის წინათ



ტაილანდში—ამერიკის შეერთებული შტატების ამ უერთგულეს მეგობარ ქვეყანაში დღემდე შემონახულია ტრანსპორტის ყველაზე დამამცირებელი სახე—რიქშა. დილიდან საღამომდე ბანგკოკის ქუჩებში სულმოუთქმელად დარბიან რიქშები, ემსახურებიან მდიდრებს, ამა ქვეყნის რჩეულთ.



მეორე სურათზე, რომელიც ინგლისის კოლონია სინგაპურშია გადაღებული, ჩვენ ვხედავთ თუ როგორ მუშაობენ ქალები და კაცები მამა-პაპური მეთოდით. რას იტყვით, ხომ კარგად გრძნობს თავს სხვისი ოფლის ღვრის დროს პლანტატორი?



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ისინი ცხოვრობენ საპყრობილეში



პატარა სათავსი, ფანჯრებზე — რიკულები, რამ მოიყვანა ეს ბავშვები საპატიმროში? ნუთუ ისინი უკვე გახდნენ დამნაშავენი? არა, სულაც არა. ბავშვები, რომელთაც ამ სურათზე ხედავთ, ახლა მართლაც საპატიმროში ცხოვრობენ, მაგრამ ისინი არ არიან ქურდები. ინგლისის ქალაქ ლიდსის მცხოვრებნი კოლუმბები ამ საპატიმროში მოხვდნენ იმიტომ, რომ თავის დროზე ვერ შეძლეს ბინის საიჯარო ქირის გადახდა, ხელისუფლებამ ისინი საპატიმროში მოათავსეს. აქ უკვე „ცხოვრობდა“ ოთხი ოჯახი, ახლა მათ მეხუთეც მიემატა.

აი ესენი კი უკვე არა ცხოვრობენ საპატიმროში, მაგრამ ძნელია იმის თქმა, რომ მათი საარსებო პირობები რამდენადმე უკეთესი იყოს.

საქდესის ფოტოქრონიკა

# პოლიციელთა და მებაჟეთა საზრუნავი




ბევრი საზრუნავი აქვთ ინგლისელ მებაჟეებს. ყოველდღე მათ უხდებათ დიდძალი პორნოგრაფიული ლიტერატურის კონფისკაცია. აი, ახლაც, მებაჟეს ამოაქვს გადამალული აკრძალული „ლიტერატურა“.



საქდესის ფოტოქრონიკა

საკმარისია ერთი სიგნალი იმის შესახებ, რომ რომელიღაც საწარმოს მუშებმა ან დაწესებულების მოსამსახურეებმა წარმოიწყეს გაფიცვა და... ატყდება სირენების ღმუილი. პოლიციელებით დატვირთული მანქანები ელვის სისწრაფით მიეჩქარებიან „საავარიო“ ადგილისაკენ. გულისამაჩუყებელ ზრუნვას იჩენენ ხელისუფალნი საწარმოთა მფლობელების მიმართ. როგორც იტყვიან, „ხელი ხელსა ჰბანს“. ეს იაპონელი პოლიციელები ჯერჯერობით წყნარად არიან, რადგან არც გაფიცულნი არღვევენ სიმშვიდეს. მაგრამ საკმარისია ოდნავი „ბუნტი“ და პოლიციელები მზად არიან „მოქმედებისათვის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დრამა სახლის სახურავზე





ლონდონის ერთ-ერთ ქუჩაზე დიდძალი ხალხია შეკრებილი. 4—სართულიანი სახლის სახურავზე ასულა მამაკაცი ორი წლის ბავშვით. მას გადაწყვეტილი ჰქონდა თავი მოეკლა და საცოდავი ბავშვიც გამოესალმებია სიცოცხლისათვის. სასწრაფოდ გამოუძახეს სახანძრო მანქანებს, მოიტანეს კიბეები. სანამ გამვლელ-გამომვლელნი თავგანწირულს გამამხნევებელ სიტყვებს ეძახდნენ, მას მიეპარნენ პოლიციელები და ძლივს შეძლეს ტრაგედიის თავიდან აცილება.

# კონტრასტების ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა





მდიდარია ვენესუელა—ნავთისა და ურიცხვ სხვა ბუნებრივ წიაღისეულთა ქვეყანა, შრომისმოყვარე ხალხის ქვეყანა. მაგრამ ეს სიმდიდრეები ამერიკის მონოპოლიებს და მათ ადგილობრივ ლაქიებს ეკუთვნის. მშრომელი ხალხი კი სიღატაკეშია. მქონებელთა და უქონელთა ცხოვრების პირობებს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ცასა და მიწას შორის.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინვალიდი ეძებს მართლმსაჯულებას




ფლიტ-სტრიტზე—ლონდონის ერთ-ერთ ყველაზე გაცხოველებულ, ხალხმრავალ ქუჩაზე ისმის სევდიანი მელოდია. მინითა და შუშით მოელვარე შენობის წინ პატარა ურიკაა. მოჩანს ორი ხელოვნური ფეხი, რომლებიც მოუხერხებლად აწყვია ტროტუარზე. პლაკატებზე. რომლებიც მიწებებულია ურიკაზე, წარწერებია: „მე უარს მეუბნებიან სამუშაოზე“, „ომის ინვალიდი ეძებს მართლმსაჯულებას“...

56 წლის უილიამ ბლეიკერს არ ჰყოფნის გროშისოდენა პენსია, რომელსაც იგი ღებულობს მაგრამ ვინ აიყვანს ამ დავრდომილს სამსახურში, როცა ისედაც ბევრია უმუშევარი ჯანსაღი, ძალ-ღონით აღსავსე ახალგაზრდობა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოშების კარვები და მეშახტეთა ბინები



შოტლანდია, ათობით ბოშის ოჯახი იძულებულია უსაშინელეს ანტისანიტარიულ პირობებში იცხოვროს გამჭვარტლულ კარვებში, ინგლისის მთავრობა ვერ პოულობს სახსრებს საბინაო მშენებლობისათვის. სამაგიეროდ მან ადვილად გამოძებნა 1964–65 წლებისათვის თითქმის ორი მილიარდი სტერლინგი შეიარაღებისათვის.



ამერიკის შეერთებული შტატები, მსოფლიოს ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის პრეზიდენტმა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ სიღატაკის წინააღმდეგ ომს ვიწყებო, მაგრამ მას ჯერ-ჯერობით სხვა ომი უფრო აინტერესებს.

# ისინიც ხომ იაფ ფეხსაცმელს აკეთებენ



იაპონიის ქალაქ კობეს გარეუბანში ექვსასამდე წვრილი სახელოსნოა, რომლებშიც იაფ ფეხსაცმელს ამზადებენ. ამ „სანარმოებში" მხოლოდ ქალები მუშაობენ. ეს სურათები გვიჩვენებენ, თუ როგორ პირობებში უხდებათ იაპონელ ქალებს მუშაობა. მენარმეებმა კრიტიკას ამ საშინელ პირობების შესახებ ასე უპასუხეს: „მერე რა, ისინიც ხომ იაფ საქონელს ქმნიანო".



საქტესის ფოტოქრონიკა

# რაზე დუმს რეკლამა

„იტალია—მზიური ქვეყანაა. აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთში არა მარტო მზეა და სითბო, აქ მუდამ მხიარულება სუფევს. ტემპერამენტიანი ნეაპოლელები დილიდან საღამომდე მღერიან ნეაპოლიტანურ სიმღერებს"—ასეთია ტურისტული სააგენტოების რეკლამა. მაგრამ რეკლამები, რა თქმა უნდა, არაფერს იტყობინებიან იმის შესახებ, რომ ნეაპოლის მუშათა კვარტალებში ჭუჭყიანი ქუჩებია, მიწურებია, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს.





ეს ბავშვები ჰონოლულუში ცხოვრობენ. დილიდან გვიან ღამემდე ისინი ელოდებიან დიდი გემების გამოჩენას, რომ მოწყალება გამოსთხოვონ მდიდარ ტურისტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფასური—70 ცარიელი ბოთლი



ჩვენს დღეში კიდევ არსებობს დედამიწაზე სამარცხვინო მოვლენა—მონობა და მონათვაჭრობა. არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთის სათავადოებსა და სასულთნოებში დღემდე ვაჭრობენ ადამიანებით, როგორც პირუტყვით, ფარულად და მზისით-დღისით.

ეს გოგონა ზემო ვოლტიდან გაყიდეს მონობაში. მის გვერდით ხედავთ საფასურს—70 ცარიელ ბოთლს.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათ ვერ შეაშინებენ



ფოტომოთხრობას ეგრეთწოდებულ „თავისუფლების სამყაროზე“ ვამთავრებთ სიმბოლიური კადრით. თქვენ ხედავთ თუ როგორ უშიშრად პასუხობს პოლიციელს ამერიკელი ზანგი. დიახ, რაც არ უნდა წერონ ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა თავისი დამპალი, გახრწნილი სამყაროს შესახებ, რაც არ უნდა შეარქვან მას, ისტორია თავისას აკეთებს. ვერა, ვერ შეაშინებენ ადამიანის ღირსებისათვის, ნამდვილი თავისუფლებისათვის ამ უშიშარ მებრძოლებს. მომავალი ეკუთვნით მათ!



საქდესის ფოტოქრონიკა